

# საქართველო

საქართველოს  
საგარეო  
აღმოსავლეთის  
მდირობის  
სამსახური

ქვეყნის  
საგარეო  
აღმოსავლეთის  
მდირობის  
სამსახური


საორტული გაზეთი

შაბათი 21 აგვისტო 2004 №193 (2214)

ფასი 50 თეთრი

## ანა დოლონაძისთვის საქართველო გაბუბია

ამ ახტა, გერმანიაში  
ოლიმპიურ ჩემპიონად დახტა



გუშინ კიდევ ერთი ქართველი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ საქართველოს ამით არაფერი რგებია, მხოლოდ ქართული გვარი გაისმა სანახევროდ ცარიელ დარბაზში. პასპორტით გერმანელმა ქართველმა ბატუტისტმა, 31 წლის ანა დოლონაძემ ყველა სხვაზე უკეთ აკეთა მაღალყევი და ოლიმპიურ პუბლიკას, ვინ მოთვლის, მერამდენედ მოასმენინა გერმანიის ჰიმნი.

საქართველოს კი არაფერი შეხვდა, ჩვენებურმა რუსუდან ხოფერიაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე მეცხრე ადგილი დაიკავა და სულ 0,20 ქულა დააკლდა რვა ფინალისტს შორის მოსახვედრად. არადა, ხოფერია რვა საუკეთესოს შორის გახლდათ, როცა საკვალიფიკაციოში ერთი გამომსვლელი რჩებოდა. ეს უკანასკნელი სწორედ ანა დოლონაძე გახლდათ, რომელმაც იოლად მოაგროვა ფინალისტის საჭირო ქულები, ხოფერია მე-9 ადგილზე ჩაანაცვლა და ოქროსკენ გზა თავად განაგრძო.



## მოარჩენს დოქტორი შაკ რობი სპორტს?

ჟაკ როგმა შესაძლოა ვერ გადააჩვიოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები ქრთამის აღებას. რაც უნდა იყოს, სოკის, დიდი და ბინიერი ოჯახის მამაა. მაგრამ ოლიმპიზმის პატრიარქი სიტყვას ასრულებს და სპორტის კიდევ ერთ და მექრთამეობაზე დიდ მანკიერებას დაუნდობლად ებრძვის. თქვა – სპორტსმენებს თავიდან მთლიანად გამოუხვეტავ დოპინგს, დანდობას ნურავინ ელისო და მის ცოცხს უკვე რამდენიმე არაყეთილსინდისიერი ოლიმპიელი გამოჰყვა.

როგი არც კოსტას კენტერისის საქმეს ივინყებს და ბოლომდე ითხოვს გამოკვლევას. სიდნეის ოლიმპიურ ჩემპიონ კენტერისის დოპინგ-ტესტისთვის თავის არიდება ბრალდება, რის მიზეზადაც ბერძენი მორბენალი ავარიას ასახელებს, მაგრამ ამით თავს ვერ დაიძვრენს. მის მწვრთნელს ქვეყანაში დოპინგის შეტანაში დასდეს ბრალი და პოლიცია სახლშიც კი შეუვარდა. ასე რომ, სპორტსმენებო, მოეშვიტ მამაძალტობას!



## პერესის ფულმა ვუდგებიტის იყიდა

ჯონათან ვუდგეიტს ნათქვამი ჰქონდა, „ნიუკასლიდან“ თუ ნავედი, არც ერთ ინგლისურ კლუბში მიმსვლელი არ ვარო.

„ნიუკასლის“ თავმჯდომარემ კი თქვა, მისი გაშვება არ მინდოდა, მაგრამ ისეთი შეთავაზება მიიღო, დარჩენაზე დაყოლიებაც არ მიცდიაო.

ხოლო კლუბები, რომლებშიც დაუფიქრებლად მიდიან, ევროპაში ბევრი არ არის, ყველაზე დიდი მაცთუნებელი კი, რა თქმა უნდა, „რეალია“.

გუშინ ჯონათან ვუდგეიტი რეალელი გახდა, იქ კი მას თანამემამულეები დევიდ ბექემი და მაიკლ ოუენი დახვდებიან.



## მისტერ ბაბერ ფლაი

გაიხალ ფელჯის ატჰიბია: წყალი ოქროდ აქცია

REUTERS ათენიდან



# ATHENS 2004

ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
ATHENS 2004

## 20 აგვისტო

### ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

#### მკლავსრობა

##### კაცები

##### სპორტული სიარული. 20 კმ

- 1 ივანო ბრუნეტი (იტალია) 1:19,40სთ
- 2 ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი) 1:19,45
- 3 ნათან დიქსი (ავსტრალია) 1:20,02

##### 10 000 მ

- 1 კენენისა ბეკელე (ეთიოპია) 27:05,11სთ
- 2 სილვესტო სიბილი (ეთიოპია) 27:09,39
- 3 ზერსენაი ტადესე (ერიტრია) 27:22,57

#### კიუდო

##### კაცები

##### +100კგ

- 1 კეიჯი სუზუკი (იაპონია)
- 2 ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)
- 3 დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია)
- 3 ინდრეკ პერტელსონი (ესტონეთი)

##### ქალები

##### +78კგ

- 1 მაკი ცუკადა (იაპონია)
- 2 დაიმო ბელტრანი (კუბა)
- 3 თეა დონლუზაშვილი (რუსეთი)
- 3 სუნ ფუმინგი (ჩინეთი)

#### ველოსრობა

##### კაცები

##### 1 000მ. გიტი

- 1 კრის ჰოი (დიდი ბრიტანეთი) 1:00,711სთ
- 2 არნო ტურნანი (საფრანგეთი) 1:00,896
- 3 შტეფან ნიშკე (გერმანია) 1:01,186

##### ქალები

##### 500მ. გიტი

- 1 ანა მიერსი (ავსტრალია) 33,95258
- 2 ციან იონჰუა (ჩინეთი)
- 3 ნატალია ცილინსკაია (ბელარუსი)

#### სროლა

##### კაცები

##### შაშხანა. 50 მ. წოდელა

- 1 მეთიუ ემონსი (აშშ)
- 2 კრისტიან ლუში (გერმანია)
- 3 სერგეი მარტინევი (რუსეთი)

##### ქალები

##### შაშხანა. 50მ. საპი პოზიციიდან

- 1 ლიუბოვ გალკინა (რუსეთი)
- 2 ვალენტინა ტურესინი (იტალია)
- 3 ჩენ ფენი (ჩინეთი)

#### ფარიკაობა

##### ქალები

##### დაშნა. გუნდური

- 1 რუსეთი
- 2 გერმანია
- 3 საფრანგეთი

#### ჰაფინგონი

##### კაცები

##### წყვილები

- 1 კიმ დონ-მუნი და ჰა ტაე-კვონი (ს. კორეა)
- 2 ლი დონ-სუ და იუ იუნ-სუნი (ს. კორეა)
- 3 ენ ჰიანი და ფლანდი ლიმპელე (ინდონეზია)

#### სურვა

##### კაცები

##### 100მ. ბატერფლაი

- 1 მაიკლ ფელპსი (აშშ) 51,2568
- 2 იან კროკერი (აშშ) 51,29
- 3 ანდრეი სერდინოვი (უკრაინა) 51,36

##### 50მ. თავისუფალი სტილი

- 1 გარი ჰოლი (აშშ) 21,9368
- 2 დიუჟე დრაგანია (ხორვატია) 21,54
- 3 როლანდ მარკ შუმანი (ს. აფრიკა) 22,02

##### ქალები

##### 200მ. გულაღმა

- 1 კირსტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) 2:09,16სთ
- 2 სტანისლავა კომაროვა (რუსეთი) 2:09,72
- 3 რეიკო ნაკამურა (იაპონია) 2:09,88

##### 800მ. თავისუფალი

- 1 აი შიბატა (იაპონია) 8:24,54სთ
- 2 ლაურა მანადუ (საფრანგეთი) 8:24,96
- 3 დიანა მანცი (აშშ) 8:26,97

#### მუხილდოსნობა

##### ქალები

##### გუნდური

- 1 სამხრეთ კორეა
- 2 ჩინეთი
- 3 ტაივანი

#### კალისრობა

##### ქალები

##### 75კგ.

- 1 პავინა ტონსუკი (ტაილანდი) 272,5კგ
- 2 ნატალია ზაბოლოტნიკა (რუსეთი) 272,5
- 3 ვალენტინა პოპოვა (რუსეთი) 265

#### საწყლოსნო სლalomი

##### კაცები

##### ერთადგილიანი ბაიდარა

- 1 ბენუა პეჟე (საფრანგეთი)
- 2 კემპბელ უოლში (დიდი ბრიტანეთი)
- 3 ფაბიენ ლეფევერი (საფრანგეთი)

##### ორადგილიანი კანოე

- 1 პავოლ და პეტერ ხოშხორნერები (სლოვაკეთი)
- 2 მარკუს ბეკერი და სტეფან ჰაინცე (გერმანია)
- 3 იაროსლავ ვოლფი და ონდრეი შტეპანეკი (ჩეხეთი)

#### ვაილინგის ჩოგბურთი

##### ქალები

##### წყვილები

- 1 ვან ნანი და ჟონ იუნინი (ჩინეთი)
- 2 ლი იუნ-სილი და სიოკ იუნ-მი (ს. კორეა)
- 3 გუო იუ და ნიუ ციანფენი (ჩინეთი)

#### ვაილინგის ჩოგბურთი

- 1 ანა დოლონაძე (გერმანია)
- 2 კარენ კოკბერნი (კანადა)
- 3 ხოენ სიანსიანი (ჩინეთი)


##### მედალების დასა

	ო	ვე	ბ	სულ
1 აშშ	17	12	11	40
2 ჩინეთი	15	11	10	36
3 იაპონია	12	4	3	19
4 ავსტრალია	8	5	8	21
5 რუსეთი	5	11	12	28
6 იტალია	5	6	3	14
7 გერმანია	5	5	9	19
8 საფრანგეთი	5	5	6	16
9 უკრაინა	5	1	2	8
10 ს. კორეა	4	8	3	15
11 თურქეთი	3	0	1	4
12 ჰოლანდია	2	5	5	12
13 უნგრეთი	2	3	1	6
14 სლოვაკეთი	2	2	1	5
15 რუმინეთი	2	0	2	4
15 ტაილანდი	2	0	2	4
17 საბერძნეთი	2	0	1	3
18 დიდი ბრიტანეთი	1	4	4	9
19 პოლონეთი	1	2	1	4
20 ბელარუსი	1	1	3	5
21 სამხრეთ აფრიკა	1	1	1	3
21 ზიმბაბვე	1	1	1	3
23 საქართველო	1	1	0	2
23 ეთიოპია	1	1	0	2
25 ბულგარეთი	1	0	2	3
26 შვეიცარია	1	0	1	2
27 საამიროები	1	0	0	1
28 ავსტრია	0	3	0	3
29 კუბა	0	2	5	7
30 ჩრდ. კორეა	0	2	1	3
31 ესპანეთი	0	2	0	2
32 ჩეხეთი	0	1	2	3
33 კანადა	0	1	1	2
33 ხორვატია	0	1	1	2
35 პორტუგალია	0	1	0	1
35 სერბეთ-ჩერნიგორია	0	1	0	1
35 ყაზახეთი	0	1	0	1
35 ინდონეზია	0	1	0	1
35 ინდოეთი	0	1	0	1
40 ბრაზილია	0	0	2	2
40 ბელგია	0	0	2	2
40 აზერბაიჯანი	0	0	2	2
40 დანია	0	0	2	2
44 არგენტინა	0	0	1	1
44 კოლუმბია	0	0	1	1
44 მონღოლეთი	0	0	1	1
44 სლოვენია	0	0	1	1
44 ისრაელი	0	0	1	1
44 ტრინიდადი და ტობაგო	0	0	1	1
44 ესტონეთი	0	0	1	1
44 ერიტრეა	0	0	1	1
44 ტაივანი	0	0	1	1



მთელი ზიმბაბვე კრისტი ქოვენთრი: ვერცხლსა და ბრინჯაოს გუმბან ოქროს მიახატა

REUTERS ათენიდან



ავთანდილ გურასაშვილი ათენიდან

# ტერორისტებო, ისიამოვნეთ ოლიმპიადით!

## მუზიკა იყო უინ და გარეთ

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე თუ ვინმეა შეშინებული, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი კოლეგა პაატა ნაცვლიშვილია. ისეა დაფუთებული, თითქოს ყველა კუთხე-კუნჭულში ბომბები და ყუმბარები სკდებოდეს. არადა, აქ ჯერ ბომბი არ აფეთქებულა. იმედია, არც აფეთქდება.

ალქაიდა-მალქაიდა და ათასი ჯურის ტერორისტულმა ორგანიზაციებმა კარგად იციან, რომ ათენის თამაშების უსაფრთხოებისთვის მილიარდ დოლარზე მეტი დაიხარჯა, რაც სიდნის ოლიმპიადასთან შედარებით ხუთჯერ მეტია. ტერორისტებმა ალბათ ისიც უწყვიან, რომ ათენის ცაში დღედაღამ დაფრინავენ სამხედრო შეუღლებიერები, თვითმფრინავები და დირიჟაბლები, რომლებიც, მოგეხსენებათ, ალჭურვილია უახლესი სათვალთვალ აპარატურით. დირიჟაბლის დახმარებით მიწაზე დავარდნილ ასანთის კოლოფზეც კი შეიძლება წარწერის ამოკითხვა. იმ დირიჟაბლს, ხან მთავარი ოლიმპიური სტადიონის თავზე რომა ჩამოკიდებული, ხან აკროპოლს დასტრიალებს ქორივით და ხან ყურეში მიმოფანტულ ოლიმპიურ აფრიან ნავეს, უბიძგიური ნივთიერებების აღმოჩენაც შეუძლია.

აქ ჩვენს აგიოს ანდრეას ანუ წმინდა ანდრია მოციქულის ტერიტორიაზე მდებარე ჟურნალისტთა სოფლის სანაპიროსაც, სადაც მთელი მსოფლიოდან აყრილი ჩვენი კოლეგები ცხოვრობენ, ზღვისკენ მიმართული ერთი დეკორაციული ფუნქციის მქონე ზარბაზნისა და ნამდვილი გამანადგურებელი თვითმფრინავის გარდა საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილი ვეება ხომალდებიც იტყვენ. იქვე წინ და უკან დასრიალებენ ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი სწრაფმავალი კატარალები. აქ შემოსასვლელ-გასასვლელუბში და სხვაგანაც კბილებამდე შეჭურვილი ჯარისკაცები არიან.

ყოველივე ამის თაობაზე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ როცა ოლიმპიადის დაწყება-

მდე ამ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოკითხვა მოაწყო, როგორ წარმოედგენათ ათენი უსაფრთხოების მხრივ, ბერძნებმა სასიხარულო შედეგები მიიღეს. გამოკითხულ ამერიკელთა 59,9 და ევროპელებმა 40 პროცენტმა საბერძნეთი უსაფრთხოდ მიიჩნიეს.

ნეგატიური დამოკიდებულება გამოკითხულ ამერიკელთა მხოლოდ 4,2 პროცენტს აღმოაჩნდა. ბრიტანელების 4,2 პროცენტი იყო, ფრანგთა 2,8 და გერმანელებმა 1,6 პროცენტი.

ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ტერორისტთა შემოტევის 200-მდე შესაძლო სცენარი შეიმუშავეს და მათ მოსაგერიებლად ივარჯიშეს კიდევ, რაშიც 19,5 ათასი პოლიციელი, 10 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, 4,2 ათასი მეხანძრე და 3,4 ათასი სანაპირო დაცვის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

სიფრთხილეს თავი არა სტკივალ და, ოლიმპიური ბაზებისკენ მიმავალი ახალ-ახალი გზატკეცილების გაყოფებაზე, ტერორისტთა შესაძლო შემოტევისგან თავდასაცავად, თავშესაფრები მოუწყვიან, ოღონდაც, ეს თავშესაფრები ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის კი არაა, არამედ ოლიმპიადის „უკვდავი“ ანუ VIP-სტუმრებისთვისაა განკუთვნილი, კერძოდ, უცხო ქვეყნების სახელმწიფო მეთაურებისთვის.

ჩვენი კოლეგა ნაცვლიშვილი, მართალია, კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტია, მაგრამ VIP-ი მაინც არაა და იმ თავშესაფარში არაა შეუშვება. ჰოდა, შეშინებულია კაცი, ყოველ შეხვედრაზე მოდის და გვეუბნება, აქ ბომბის აფეთქება ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. აქა და იქ ისე შევედი და გამოვედი, ჩემს აკრედიტაციაზე ზედაც არ შემოუხედავთ. ოლიმპიურ სოფელში ისე

შესულა, არც ნებართვა ჰქონია, არც იქაური აკრედიტაცია.

სხვათა შორის, ატლანტაში, სადაც ოლიმპიურ სოფელში თითის ანაბეჭდებსაც კი ამოწმებდნენ, მეც სრულიად შემთხვევით უნებლიეთ და უნებართვოდ აღმოჩნდი. მეტიც, თვით ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონსაც შევეფეთე...

მაგრამ ეს უიშვიათესი გამონაკლისია, აქ კი, ათენში, ჩვენს სააკრედიტაციო ბარათებს, მათ აქტივიზაციაზე შემოწმებას ვინ ჩივის, ზედაც არავინ უყურებს. ჩანთებსაც „რენტგენში“ უფრო ხშირად ისე, ყასიდად ატარებენ.

ვინ იცის, ეს ბერძენთა ბედოვლათობის ბრალია, დოყლაპობისა თუ უბრალოდ მათი სტუმართმოყვარეობის?


და ეს ყოველივე ალქაიდად რომ იცოდეს... და თუ მე საიდუმლოს ვამხელ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ალბათ არ კითხულობენ „სარბიელს“, ხოლო თუ ჩიტი ამბავს მაინც ჩაიტანს, ამასობაში ოლიმპიადაც დამთავრდება.

იმედია, მშვიდობიანად დამთავრდება.



ამათი შიშით ვინ გაბედავს ათენში ბომბის შეტანას. არადა, ეს არც ისე ძნელი ყოფილა

REUTERS ათენიდან



ბადრი კითილაძის ფოტოები



# მკიძეს გზა დაუმიმდა გუჯარანს თათაროღლუმა არ გაუბარტლა

ოლიმპიური ძიულთა იაპონელთა ჩემპიონობით დაიწყო და იაპონური ოქროთივე დასრულდა. მსუბუქი ტადაპირო ნომურას დაუმარცხებელი გზა მძიმე კეიუი სუტუკიმ ბრწყინვალედ გააჩინა და აზიელთა არაოფიციალური გუნდური ჩემპიონობა განამტკიცა. ქართული გუნდიდან კი ლაშა გუჯეჯიანი მეორე ძიულთაში აღმოჩნდა, ათე-

ნი ერთი გამარჯვებაც ვერ მოიპოვა. 19 წლის ქართველმა მძიმეწონოსანმა პირველი მარცხი თურქ დეკაკ სელიმ თათაროღლუსგან იწვნია. თურქმა მეორე თავადაც წააგო და სანუგეშო ეტაპის შანსიც აღარ დაგვიტოვა. მისი მომგები ირანელი სეიდ მაჰმუდრეზა მირანი გამოდგა, მაგრამ ფინალს ვერც

მან უწია. გუჯეჯიანის ბადეში უმთავრეს ფავორიტად რუსი ტამერლან ტმენოვი მიიჩნეოდა და ირანელს სწორედ მან აართვა ფინალის საგზური. მეორე ფინალისტი, თავისი ბადის ასევე ფავორიტი, იაპონელი კეიუი სუტუკი გახდა. გადამწყვეტ ბრძოლამდე ისე მივიდა, მეტოქეების ბეჭებზე გასაკრავად სრული

ქართველი ძიულთაში ათენში

60 კგ ნესტორ ხერგიანი	ვერცხლი
66 კგ დავით მარგოშვილი	მე-5 ადგილი
73 კგ დავით ქვეციშვილი	მე-7 ადგილი
81 კგ გრიგოლ მამრიკიშვილი	დამარცხდა პირველ წრეში
90 კგ ზურაბ ზვიადაური	ოქრო
100 კგ ივერი ჯიქურაული	მე-9 ადგილი
მძიმე ლაშა გუჯეჯიანი	დამარცხდა პირველ წრეში



ზურაბ ზვიადაურის ამ გდებამ პირველი ოლიმპიური ოქრო მოგვტანა

აპთანადელი გურასაშვილი ათენიდან



# დოლონაქემ დაგვადონა, დოლონაქემ გაგვასარა



ანა დოლონაქემ ხანგრძლივი, ქართულ-გერმანული კარიერა ოლიმპიური ჩემპიონობით დაიმშვენა

REUTERS ათენიდან

**ინებავი** — მესამე ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ათენში! არა, ეს რუსუდან ხოფერია არ გახლავთ: ზურაბ ზვიადაურსა და მის გაბერძენებულ ნათესავ ჯარჯის „გერმანელი“ ბატუტზე მხტომელი ანა დოლონაქე მთავარია. მანც გაგვიხარდა, ილიას ილიადისის ტრიუმფზე მეტად გაგვიხარდა — ბოლოს და ბოლოს, გუშინ ქართულმა გვარმა ზომ მანც გაიფლერა შავ-წითელ-ყვითელი დროის ფონზე.

გულდასაწყვეტი კი იყო და თან ორმაგად: ბატუტზე მხტომელ ქალთა პირველ-მეორე საკვალიფიკაციო რაუნდებში 8 ფინალისტი უნდა გარკვეულიყო და სწორედ მე-8 მაჩვენებელი ჰქონდა რუსუდან ხოფერიას. ამ დროს უკანსკენელმა გამოსვლელმა ანა დოლონაქემ ჩინებულად იხტუნა, რითაც მე-9 ადგილზე ჩამოაქვეითა რუსუდანი და ფინალის ადგილიც დაათმობინა. ძალიან გვეცხვება, ჩვენებურს (ხოფერიას) მედლებამდე მიეღწია, მაგრამ ფინალურ ეტაპზე გასვლაც ზომ პრესტიჟის საკმა. მით უმეტეს, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ რუსუდნს მე-14 პოზიცია ეკავა და მეორე ეტაპზე იმდენად კარგად გაისარჯა, რომ ფინალში მერვე მაჩვენებლით გასულ ჰოლანდიელ ლენდერს ოდნავი სხვაობით (0,20ქულა) ჩამორჩა.

ილია ნანოზაშვილი

# კონსტანტინე მარჯვენამ უბტყუნა

**არ იყო** გუშინ ქართველების დღე ერთბაშად სამი ქართველი დაგვიჩრა უმედლოდ და, ალალად რომ ვთქვათ, გამოჩნეულად მანც მოკრივე კონსტანტინე კუპატაძის (57კგ) ნადრევი მარცხი მოგვხვდა გულზე — გუშინდელი ქართული ტრიოდან ყველაზე მეტად ალბათ მანც მისი გვეიმედებოდა.

მეორე წრეში უბრძოლველად გასული კუპატაძე მასსავით დასვენებულმა ჩრდილოკორეელმა ჩუკ სონგ კიმმა არ გაატარა მეოთხედფინალში. 20 წლის ქართველს ვერც მებრძოლ ხასითს დაუწუნებ და ვერც ფიზიკატექნიკას, მაგრამ გუშინ „წითელ კორეელთან“ უმასნოდ კი წააგო — 14:25. პირველ რაუნდში კონსტანტინე 4 ქულით ჩამორჩა მეტოქეს და მეორე ორწუთიურში უხვდარტყმი-

ანი სერიის შემდეგ შეამცირა სხვაობა (9:11), თუმც კორეელის კვალობაზე კარგა აწოწილმა კიმმა ისევ აამუშავა მუშტები და კუპატაძეს ბოლო რაუნდში უკვე აშკარად დაეტყო დაღლა. ერთიცაა, ქართველს უფრო მჭიდრო მუშტიკრივისთვის უნდა მიემართა, რაღა გრძელხელეა კორეელიისთვის დისტანცია შეეზღუდა. მსაჯს კი ბრალი არ მიუძღვის. კი, ერთიორჯერ ყაზახმა რეფერიმაც დაიწვინა თვალეტი, მაგრამ მხოლოდ ერთი-ორჯერ — კუპატაძემ კი 11 ქულით წააგო.

დღეს მერვედფინალურ ბრძოლას კუპატაძის კბილა ნიკა იზორია (51კგ) გამართავს. ფოთელი მოკრივე 15 საათსა და 45 წუთზე აზერბაიჯანელ ფუად ასლანოვთან გააკრევეს ურთიერთობას.

ილია ნანოზაშვილი

# ნადი, გებო, დაისვენე ნაზრათილოვა კიდევ მოვა

**ათინური** მაგარსაფრიდან ოტებულ ფავორიტ ამერიკელ მეჩოგნებს — ვინუს უილიამსს, ენდი როდიკსა და ტყუბ მებ ბრაიანებს იმ დღეს 47 წლის მარტინა ნავრატილოვაც შეუერთდა თავის მეწყვილე ლიზა რეიმონდიდურთ.

ლეგენდარულ ამერიკელ ბიცოლასა და რეიმონდს მეოთხედფინალში იაპონელები — შინობუ ასაგოე და აი სუგაიამა მოერივნენ 6:4, 4:6, 6:4.


ცხადია, იმდგაცრუებული ვარო, ამბობდა ამ მარცხის მერე ნავრატილოვა, თუმცა იქვე იმასაც დასძენდა, ოლიმპიური მედალი ჩემი ოცნება მაინცდამაინც არც ყოფილა, უბრალოდ აქ ჩოგვაობის დილიზორი

მქონდაო. რაც შეეხება მის სამომავლო გეგმებს — წინააღმდეგ საყოველთაო მოლოდინისა — იგი ჯერ თურმე არსად წასვლას არ ეშურება, დაჯრები თუ წავალ, მაგას მხოლოდ წლის დასასრულს ვიტყვიო. ამგვარად — 1988 წლის ანუ ოლიმპიურ თამაშებზე ჩოგბურთის დაბრუნების შემდეგ ეს პირველად მოხდება, რომ ქალთა საწყვილო-სნო ტურნირს ამერიკელი მღედრები ვერ მოიგებენ. ხოლო რაკი-და ასეთივე ვითარება ერთეულთა მხარეზეც, ისიც უნდა ვთქვათ, რომ 1988 წლიდან არც ის მომხდარა, ამერიკელ ქალებს ოლიმპიადაზე ერთი მედალიც რომ ვერ ემოვნოთ.

ლიზან კილაურაძე

# პერ არის პრაქე თევი ნყალუი

A ჯგუფი				B ჯგუფი			
კორეა 34:30 ისლანდია				უნგრეთი 30:29 გერმანია			
საბაენთი 41:28 სლოვენია				საბაენთი 26:22 ბრაზილია			
სორვატიბა 26:25 რუსეთი				საზრანგათი 22:21 ეგვიპტი			
ესპანეთი	4	0	0 132:107 8	საზრანგათი	4	0	0 108:86 8
სორვატიბა	4	0	0 116:107 8	გერმანია	3	0	1 117:83 6
კორეა	2	0	2 125:122 4	უნგრეთი	3	0	1 106:102 6
რუსეთი	1	0	3 111:115 2	საბაენთი	2	0	2 95:104 4
ისლანდია	1	0	3 113:126 2	ბრაზილია	0	0	4 77:111 0
სლოვენია	0	0	4 104:126 0	ეგვიპტი	0	0	4 88:107 0



კორეელმა კაცებმა გუშინ პლეი ოფის საგზური მოიპოვეს

REUTERS ათენიდან

**პირველ**, „სიკვდილის ჯგუფში“ ვადამდე ორი ტურით ადრე მეოთხედფინალის საგზურგანაღებულ ესპანეთს და ხორვატიას გუშინ კორეელები შეუერთდნენ. აზიელ ხელბურთელებს არ გასჭირვებიათ საპლეიოფო კონკურენტ ისლანდიელთა ძლევა — ორივე ტაიმში აჯობეს — (16:13, 18:17).

კორეელთაგან შედეგანობით (12 გოლი) ამჯერადაც გამოირჩა 203-სანტიმეტრიანი გიგანტი, 31 წლის კუნ-შინ იონი. კუნძულელთა შორის საუკეთესო იყო იონის კბილა ოლაფურ სტეფანსონი, რომლის 11 ნატყორცნიდან ათი მიზანს მოხვდა. ისლანდიელთა კარს იცავდა 33 წლის როლანდ ერაძე, ვერ ვიტყვით, წარმატებით — მის სადარაჯოსკენ 23 ნასროლიდან მხოლოდ სამის მოგერიება შეძლო.

ალსანიშნავია, რომ მეორე ისლანდიელმა მეკარემ, 39 წლის გუდმუნდურ რაფნკელსონმა სარეკორდო, მე-400 მატჩი ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში.

წინა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ესპანელებმა გამანადგურებელი, 13-ბურთიანი მარცხი აგემს ევროპის ვიცე-ჩემპიონ სლოვენელებს და ბოლო საპლეიოფო შანსი მოუსპეს.

მეორე ჯგუფშიც კიდევ ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. მასპინძლებმა ზედიზედ მეორე მატჩის მოგებით მომდევნო ეტაპზე გამსვლელ ოთხეულში დაიბევეს ადგილი და მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ.



A ჯგუფი				B ჯგუფი			
ჩინეთი 33:13 საბაენთი				კორეა 40:30 ანგოლა			
უპრაინა 21:19 ბრაზილია				დანია 23:21 ესპანეთი			
უნგრეთი	2	0	0 61:44 4	დანია	2	1	0 87:76 5
უპრაინა	2	0	0 47:40 4	კორეა	1	1	0 69:59 3
ჩინეთი	1	0	2 78:67 2	საზრანგათი	1	0	1 53:55 2
ბრაზილია	1	0	1 48:42 2	ესპანეთი	0	1	2 65:74 1
საბაენთი	0	3	54:95 0	ანგოლა	0	1	1 54:64 1



47 წლის მარტინა ნავრატილოვას პენსიაზე არ ეტყარება

20 აგვისტო	
ნახევარფინალი	
კაცები	
მირდი ფიში (აშშ) — ფერნანდო გონსალესი (16, ჩილე) 3:6, 6:3, 6:4; ნიკოლას მასუ (10, ჩილე) — ტაილორ დენტი (აშშ) 7:6 (7:5), 6:1	
ქალები	
შუსტინ ინეა-ბრადი (1, ბელგია) — ანასტასია მისკინა (2, რუსეთი) 7:5, 7:5, 8:6; ანაილი მორისო (3, საფრანგეთი) — ალიშა მოლივი (ავსტრალია) 7:6 (7:2), 6:3	

REUTERS ათენიდან



# საბუნების

პროფესიონალი  
გეოგრაფი



დაახლოებით ასე არ დაფრინავენ მოხანჭლები „ერისიონის“ კლუბში?



არ დადბო, ოლიმპიადას გამაზავ!



ძელს დაასედა



ჰა, ვის გინდათ მე-10 მრმერი იტალიელის ადგილას ყოფნა?



ინგემ ამოყვინთა

ATHENS 2004



# დედუქსიის ამბავია

## თქვენ ცრუობთ, ბატონო ჩემპიონო!

ყაე როგი რომ სიტყვის ყაცია, ამაში ბევრი დარწმუნდა. რომ თქვა ამ ყაცმა, ოლიმპიადაზე და საერთოდაც დოპინგის მოყვარულებს შავ დღეს დავაყრიო, უნდა დაეჯერებინათ ზოგიერთებს. რას იზამ, ზოგს ისეთი ხასიათი აქვს, სანამ აღიყურს არ მიიღებს, თავისას არ იმლის

ჯიუტი ყოფილა უზბეკი ბირთვის მკერელი ოლეა შჩუკინაც. მას 14 აგვისტოს ტესტი ჩაუტარეს და სანამ პასუხს გაიგებდნენ — ამ დედაკაცმა ოლიმპიაში თავისი საქმე აკეთა. თურმე სულ ტყუილად. ტესტი დადებითი აღმოჩნდა. ოლეას სისხლში


კლინუტერიოლი იპოვეს — ტკივილგამაყუჩებელი თუ რაღაც ასეთი. კი განაცხადა უზბეკმა ჩვეულებრივი მიქსტურა დავლიო, მაგრამ როგი ის კაცი არაა, ვიღაც დედაკაცმა გააბითუროს, მით უმეტეს, რომ ამ ქალს ალბათ ჭკუაც არ უჭრის; შე-

ჯიბრზე 38 მონაწილეს შორის ბოლო ადგილზე გავიდა, ანუ ისეთი უნიჭო აღმოჩნდა, რომ დოპინგმაც ვერ უშველა. შე კაი ადამიანო, თუ იცი რომ შანსი არ გაქვს, რაღას მამაძალობ, წაგებას ხომ დისკვალიფიკაციაც მოყვება.

კიდევ ერთი დოპინგზე გამოჭერილი ქალი, ინდოელია. 53 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოსაპარეზე ძალოსანი, სანამაჩა ჩანუ მეოთხე ადგილზე გავიდა, მაგრამ სულაც ოქრო რომ აეღო, არაფერი შერჩებოდა. სისხლში ფუროსემიდს რომ ვიპოვიან, მედალსაც ჩამოგართმევენ და სახლშიც გაგიშვებენ. ასეთია წესი.

ოლიმპიადიდან გამოაპანლურეს მონაწილე ძალოსანი ნან აიე ხინეც. ამ ქალს ტესტი ოლიმპიადის გახსნამდე ერთი დღით ადრე ჩაუტარეს.

ამ საქმეში თავი მასპინძლებმაც გამოიჩინეს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ბერძენი სპორტსმენი დოპინგ-ტესტისას ჩაფლავდა. ოფიციალური პირები მის ვინაობას არ ამხელდნენ, მაგრამ ფურნალისტებმა თავისი გაიტანეს და დამაშავეს მიაგნეს. წინა მსხვერპლთაგან განსხვავებით ძალოსანმა ლეონიდას სამპანისმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია. 63კგ წონით კატეგორიაში მან ელდას ბრინჯაო აწუქა. ყაე როგმა რომ



ყაე როგი კოსტას კენტერისის საქმეს ბოლომდე გამოიძიებს

REUTERS ათენიდან

სტუმარ-მასპინძლის გარჩევა არ იცის, კარგად მოგვეხსენება, ამიტომაც სამპანისს ბრინჯაო დისკვალიფიკაციით შეეცვლება.

ახლა კი იმ ამბავს დაუბრუნდეთ, ოლიმპიადის გახსნამდე ბერძენთა ვილა კენტერისის რომ შემთხვა.


ხომ გახსოვთ, ეს სპრინტერი დოპინგ-ტესტებზე რომ არ გამოცხადდა. ისიც გეხსოვებათ, როგმა რომ თქვა, მწარედ მოეკითხებაო. ბოლოს ისიც გაიხსენეთ, მეგობარ და კოლეგა კატარინა ტანუსთან ერთად ფრიად საეჭვო ავტოკატასტროფაში რომ მოყვა და ბოლოს, როგის ვარაუდი — ავტოსაგზაო შემთხვევა კვალის დაფარვის მიზნით არის ინსცენირებულიო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც სოკ-ის პრეზიდენტის სიტყვები ახდა. კოსტას კენტერისის და კატარინა ტანუს მწვრთნელს, ზრისტოს ცეკოსს პოლიცია შეუ-

ვარდა ოთახში და იქაურობა გადაატრიალა სამხილის ძებნაში. ამ კაცს უკანონო პრეპარატების გაყიდვაში ეღება ბრალი. პოლიცია ერთ-ერთ აფთიაქსაც მიაღდა. ეჭვი აქვთ, რომ ამ აფთიაქის მესვეურებმა არ გაანადგურეს რამდენიმე ასეული არალიცენზირებული პრეპარატი, რომლის განადგურებაც ევალებოდათ. ახლა ამას ისიც დაუმატეთ, რომ კენტერისი და ტანუ მოტოციკლით სწორედ ცეკოსთან შეხვედრის შემდეგ მოყვნენ ავარიაში. ექსპერტებმა ის ავტოშემთხვევაც გამოიძიეს. კოსტასის ნათქვამი — გზაზე დაქვეულ ზე-

თზე მოვცურდიო, მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. არავითარი ზეთის კვალი გზის ამ მონაკვეთს არ ეტყობა. დანარჩენი კი, როგორც შენლოკ პოლმსი იტყოდა: დედუქციის ამბავია.

ლადო ფულუპიძე



REUTERS ათენიდან

### რაზმი

# ომი და ოლიმპიადა აფრიკაში სამომავლოდ მართი გადარჩევა

21 აგვისტო. დურბანი

## სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია

სამხრეთ აფრიკა: 15 პერსი მონტგომერი, 14 ბრეიტონ პოლსი, 13 მარიუს ჟუბერი, 12 დე ვეტ ბერი, 11 იან დე ვილერსი; 10 იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, 9 ბოლა კონრადი; 8 ჯო ფან ნიკერკი, 7 ეიჯი ვენტერი, 6 შალკ ბურგერი, 5 ვიტორ მეტფილდი, 4 ბაქიზ ბოტა, 3 ედი ენდრიუსი, 2 ჯონ სმიტი (კაპ), 1 ოზ დუ რანტი. სათადარიგოები: 16 შინანი შიმანჯე, 17 სიჯეი ფან დერ ლინდე, 18 გერი ბრიცი, 19 ფაკ კრონე, 20 ფური დუ პრევი, 21 ხაფი დიუ ტუა, 22 ბრენტ რასელი. ავსტრალია: 15 კრის ლათამი, 14 კლაიდ რეთბოუნი, 13 სტირლინგ მორტლოკი, 12 მეტ ფიტო, 11 ლოთუ ტუქერი; 10 სტივენ ლარქემი, 9 ჯორჯ გრეგანი (კაპ), 8 დევიდ ლაიონზი, 7 ფილ ვუ, 6 ჯორჯ სმიტი, 5 ნათან შარპი, 4 ჯასტინ შარისონი, 3 ალ ბაქსტერი, 2 ბრენდან ქენონი, 1 ბილ იანგი. სათადარიგოები: 16 ჯერემი პოლი, 17 მეტ დანიინგი, 18 დანიელ ვიკერმანი, 19 ჯონ რო, 20 ვაიტეკერი, 21 მეტიუ ბერკი, 22 ვენდელ სეილორი

სამხრეთ აფრიკა მინცდამინც ოლიმპიური ქვეყანა არ გახლავთ. მართალია, აფრიკის სამხრეთ კიდევ უყურებენ ათენურ ამბებს, მაგრამ დღეს ოლიმპიადისთვის ნაკლებად მოიცლიან, განსაკუთრებით ქალაქ დურბანში, სადაც დიდი თუ პატარა „აბსას“ სტადიონისაკენ მიიქპარის. იქაური დროით შუადღის სამ საათზე სამი ერის დიდი და ბოლო ჯახი გაიმართება.

ტურნირის გადამწყვეტ მატჩში სამხრეთაფრიკელი „ქურციკები“ ავსტრალიელ „ვოლაბებს“ დაუხვედებიან.

ავსტრალიას 9 ქულა აქვს, აფრიკას — 7 და გამარჯვებული სამი ერის თასს ჩაიხუტებს. „ვოლაბებს“ მცირე უპირატესობა აქვთ, ფრის შემთხვევაში თასი მათია, მაგრამ... რა ფრე, რის ფრე? ომში ფრე ვის გაუგია.

წლებანდელ გათამაშებაში ავსტრალიელებმა შინ, პერთში უკვე სძლიეს მეტოქეს. გავოლაბებულმა ყოფილმა მათიანმა კლაიდ რეთბოუნმა თანამემამულეებს ბოლო წუთებზე გაუტანა. ახლაც შეეცდება, ალბათ... მაგრამ ეს პერთში იყო. მას შემდეგ აფრიკელებმა შავი დღე აყარეს ახალზელანდიელებს, ვისთანაც გასულა ასევე ბოლო წუთს წააგეს.

მუდამ „ბოროტმა“ ახალზელანდიელებმა ტურნირი უკვე დაასრულეს. ლაღად მობურთავე „კარგი“ ავსტრალიელები და ცოტა მოხუცი იგნო „ცუდი“ აფრიკელები დარჩნენ. ვესტერნებში კი, როგორც წესი, ერთი რჩება ხოლმე გამარჯვებული — თასი ერთია და დღეს ამ თასისთვის ძვლების კენჭსასაც არაფერ მოერიდება.

ბოლო წლებში ავსტრალია ჯობდა მეტოქეს. ხუთჯერ მოუგო და სამჯერ დამარცხდა. ერთხელ 2001 წელს კი 14:14 დაუხავდა. ეს ისე, სტატისტიკის მოყვარულებს, თო-



წარმოშობით აფრიკელმა კლაიდ რეთბოუნმა ორი კვირის წინ აფრიკა გაამწარა

რემ დღევანდელ მატჩზე ძველი სტატისტიკა გავლენას ვერ მოახდენს. მაგრამ ეს კი საყურადღებოა: სამი ერის გათამაშების ისტორიაში ავსტრალიამ მხოლოდ ერთხელ

მიარჯვა აფრიკაში, ისიც ერთი ქულით, 14:13. ასევე ერთადერთი ქულით, 19:18 უხეირია აფრიკას ავსტრალიაში.

ლადო ფულუპიძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ავსტრალია	3	2	0	1	60-60	9
ახალი ზელანდია	4	2	0	2	83-91	9
სამხრეთ აფრიკა	3	1	0	2	87-79	7

# ინგლისი ჰურთი და მოედანი ალან სეიტისთვის

3114 ხუციშვილი

II ტური	
დღეს	
საუთჰემპტონი	: ბლემპტონი
ბირმინგემი	: ნოლსი
ჩარლტონი	: პორტსმუთი
პრ. პალასი	: ვიპრონი
ფულჰემი	: ბოლტონი
ლივერპული	: სიტი
მანჩესტერი	: ნორვიჩი
ნოუკასლი	: ბირმინგემი

საღმისო ვითარება	
ბოლტონი	1 1 0 0 4:1 3
არსენალი	1 1 0 0 4:1 3
ასტონ ვილა	1 1 0 0 2:0 3
ჩელსი	1 1 0 0 1:0 3
მიდლსბრო	1 0 1 0 2:2 1
ნიუკასლი	1 0 1 0 2:2 1
ტოტენჰემი	1 0 1 0 1:1 1
სიტი	1 0 1 0 1:1 1
ლივერპული	1 0 1 0 1:1 1
ნორვიჩი	1 0 1 0 1:1 1
ბლემპტონი	1 0 1 0 1:1 1
კრისტალ პალასი	1 0 1 0 1:1 1
ფულემი	1 0 1 0 1:1 1
ვესტ ბრომვიჩი	1 0 1 0 1:1 1
ბირმინგემი	1 0 1 0 1:1 1
პორტსმუთი	1 0 1 0 1:1 1
მანჩესტერი	1 0 0 1 0:1 0
საუთჰემპტონი	1 0 0 1 0:2 0
ჩარლტონი	1 0 0 1 1:4 0
ვევერტონი	1 0 0 1 1:4 0

ლონდონის „არსენალი“ ხვალ „მიდლსბროსთან“ თუ არ დამარცხდა, კიდევ ერთ რეკორდს გაიმეორებს — ზედიზედ 42 წაუგებელი პრემიერლიგური მატჩი დაუგროვდება. მსგავსი რამ გასულ საუკუნეში „ნო-

ტინგემ ფორესტმა“ მოახერხა. ნოტინგემელებს 1977 წლის ნოემბრიდან 1978-ის დეკემბრამდე ჩემპიონატის 42 შეხვედრაში ვერაინ სძლია.

„მეთოფეებს“ კვლავ არ ეყოლებათ ტრავმირებული სოლ კემპბელი, პატრიკ ვიეირას თამაში კი საეჭვოა. „მიდლსბროს“ დაცვის ხაზს მოკეთებული საუთგეიტი და კედრიუ შეემატებიან, ხოლო შემტევი მარკ კიდუკა გასული სეზონიდან გადმოყოლილი დისკვალიფიკაციის გამო მატჩს გამოტოვებს.

ბირმინგემს ჟოზე მურინიუს „ჩელსი“ ეწვევა. ყოფილი ჩელსელები, იესპერ გრონკი-აერი და მარინო მელნიოტი ამჟამად ბირმინგემში არიან, მასპინძლებს ძირითად შემადგენლობაში ეყოლებათ ტრავმამოშუშებული ფორვარდი ემილ ჰესკი, ხოლო მიკაელ ფორსელი ვერ ითამაშებს, რადგან „არისტოკრატებმა“ „ბირმინგემს“ იმ პირობით მიუთხოვეს, რომ ფორსელს მათ წინააღმდეგ არ გამოიყვანენ. მურინიუს უენ ბრიჯი და ჯო კოული ჰყავს დაშვებული.

„ჩარლტონმა“ პირველ ტურში „ბოლტონთან“ 1:4 წააგო და ახლა „პორტსმუთს“ დაუხვდება. ჩარლტონელთა კაპიტანი მეტ ჰოლანდი ტრავმირებულია, სტუმრებს კი მომჯობინებული ნახევარმცველი რიჩარდ ჰიუზი დაუბრუნდა.

„ვევერტონი“ „კრისტალ პალასს“ უენ რუნის გარეშე ეწვევა, ალან სტაბსისა და ჟოზეფ იობოს თამაში კი საეჭვოა.

„ფულემს“ კვლავაც ბლომად დაშვებული ფეხბურთელები ჰყავს. ნახევარმცველები: დი კლარკი, შონ დოპერტი, მალბრანკი და ფორვარდი ფაკუნდო სავა. „ბოლტონმა“ ლივერპული ელ-ჰაჯი დიუფი ერთი წლით აიყვანა, მაგრამ დღეს „ფულემის“ წინააღმდეგ ალბათ ვერ ათამაშებს.

„ლივერპულის“ ახალშეძენილი ესპანელი



ელ-ჰაჯი დიუფი ბოლტონელი ჯეი-ჯეი ოკოჩას თანაგუნდელი გახდა

ნახევარმცველი, ანტონიო ნუნეისი პირველივე ვარჯიშზე დაშავდა და მისი დებიუტი გადაიდო. რაფაელ ბენიტესის გუნდს სხვა მხრივ პრობლემები არ აქვს. შეტევაში კვლავაც ჯიბრილ სისე და მილან ბაროში ითამაშებენ. კევინ კივანის „მანჩესტერ სიტის“ ძირითადი შემადგენლობის ყველა მოთამაშე ჯანსაღი და „ენფილდზე“ თვალსაყვირად ფეხბურთი გაჩაღდება.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ სამი ფორვარდი — რუუდ ვან ნისტელროი, ლუი სან და ოლე გუნარ სოლსკიაერი ჯერ ისევ მკურნალობენ, ამიტომ ბურთი და მოედანი ალან სმიტს დარჩა. პრემიერლიგის დებიუტანტ

„ნორვიჩ სიტს“ „ოლდ ტრეფორდზე“ მოუწევს გამოცდის ჩაბარება.

„ნიუკასლის“ მეგობრები შირერი და ბელამი დღეს ტრავმებით გატანჯულ „ტოტენჰემს“ შეუტევენ. ლონდონელ „მამლებს“ მაურიციო ტარიკო, დინ რიჩარდსი, ენტონიო გარდნერი, საიმონ დევისი და რობი კინი ვერ დაეხმარებიან.

„საუთჰემპტონს“ რომელმაც წინა ტურში „ბლემპტონთან“ წააგო, შეედი ნახევარმცველი მიქაელ სვენსონი ერთი თვით გამოაკლდა. მასპინძლებს მარიან პახარსი კი ეყოლებათ, ხოლო ჯეიმს ბიტის ბედი მატჩის წინ გადაწყდება.

## მესამე და მუდგებიტი რეალმა ნიუკასლში ფული არ დაინანა



მადრიდის „რეალმა“ „ნიუკასლის“ მცველ ჯონათან ვუდგეიტს გუშინ ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „სამეფო კლუბმა“ მის სანაცვლოდ „ჯორდებს“ 20 მილიონი ევრო მიართვა, ხოლო თავად ფეხბურთელი კვირამდე, სავარაუდოდ, 80 ათას ევროს ჩავიბავს. ჯონათან ვუდგეიტი „ნიუკასლმა“ „ლიდსიდან“ 2003 წლის იანვარში ცხრა მილიონ

გირვანქად შეიძინა. მცველი გასულ გაზაფხულს დაშავდა და აპრილის შემდეგ უთამაშებელი მკურნალობდა. მან პრემიერლიგის წინა ტურის მატჩიც გამოტოვა. მიუხედავად ამისა: „ვუდგეიტმა“ სამედიცინო შემოწმება გაიარა და 21 აგვისტოს დილით კონტრაქტს ხელს ოფიციალურად მოაწერს — განაცხადა „რეალის“ პრესმდივანმა.

მადრიდელი გუნდის ექიმმა ხუან კარლოს ერნანდესმა თქვა, ფეხბურთელის შემოწმებას სამსაათნახევარი დასჭირდა, რადგან აპრილის შემდეგ ბარძაყის კუნთის მკურნალობის გამო არ უთამაშიაო. „ჩვენ დიდი გულისყურით გავსინჯეთ და ამდენი ხანი ამიტომაც დასჭირდა. შემიძლია, დავარწმუნოთ, რომ სხვა არაფერი აწუხებს, ჯანსაღია. კუნთის ასეთ ტრავმას იშვიათად, მაგრამ გართულება მოჰყვება. გადავწყვიტეთ, რომ სამი-ოთხი კვირა დავასვენოთ სრულად გამოჯანმრთელებისთვის და შემდეგ მივცეთ თამაშის უფლება“ — აღნიშნა ექიმმა.

„ნიუკასლის“ თავმჯდომარე ფრედი შეპერდმა დაიჩივლა, მისი გაშვება არ გვიწონია, მაგრამ: „მადრიდის „რეალი“ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია და რომელი ფეხბურთელი იტყვის უარს „რეალში“ გადასვლაზე? ჯონათანმა მითხრა, „ნიუკასლიდან“ თუ წავალ, მხოლოდ მადრიდში, პრემიერლიგის გუნდში ჩემს ფეხს ვერ ნახავთ“.

ჯონათან ვუდგეიტი „სამეფო კლუბის“ მესამე ინგლისელი გახდა დევიდ ბექემისა და მაიკლ ოუენის შემდეგ.

მაია ხუციშვილი



ლუის გარსია რეალის „ლივერპულში“ გაემცა

## გარსია ლივერპულმა ასდუნა

„ლივერპულმა“ „ბარსელონას“ მარჯვენა-ფლანგელი ლუის გარსია 9 მილიონ ევროდ შეიძინა. ფეხბურთელი კლუბთან პირადი კონტრაქტის გასაფორმებლად ინგლისში გუშინ უნდა ჩასულიყო. „ბარსელონას“ სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგერისტანმა განაცხადა: „არჩევანი არ გვქონდა. ძალიან გესურდა, რომ გარსია ჩვენთან დარჩენილიყო, მაგრამ ლივერპულელებმა მაცდური პირობები და ჯამაგირი შესთავაზეს, ამიტომ ვეღარ შევეწინააღმდეგეთ. მაინც მოხარული ვარ, რადგან იგი დიდი კლუბის მაისურას მოირგებს. არ ვიცი, ითამაშებს თუ არა ისევე კარგად, როგორც იქ შარშან ითამაშა, მა-

გრამ ვულოცავ „ლივერპულში“ გადასვლას“. ლუის გარსია „ბარსელონაში“ მადრიდის „ატლეტიკოდან“ გადავიდა. კატალონიურ გუნდში გასულ სეზონში გამართულ 25 მატჩში 6 გოლი გაიტანა. იგი ორჯერ იყო გამოძახებული ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ ტრავმების გამო ვერ ითამაშა.

გარსია მესამე ესპანელი ფეხბურთელია, ვინც ამ ზაფხულს „ლივერპულში“ აღმოჩნდა. რაფაელ ბენიტესის მისვლის დღიდან მერსისაიდულმა კლუბმა „მალაგას“ მცველი ხოსეპე და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ანტონიო ნუნეისი გადაიბირა.

მაია ხუციშვილი





მაიკლ ოუენი

მადრიდის „რეალის“ გალაქტიკურ სივრცეში ახალი მნათობის, ინგლისელი მაიკლ ოუენის გამოჩენამ გუნდში საპირისპირო რეაქციები გამოიწვია. ზოგი რეალელი თვლის, რომ ლივერპულელი ოქროს ბიჭუნა სამეფო კლუბის დანარჩენ მო-

# ბრაზილიელები ინგლისელზე

ერიშებს ღირსეულ კონკურენციას ვერ გაუწევს, ზოგიც უწონებს კლუბის პრეზიდენტს ამ ტრანსფერს. მაგალითისთვის ორი ბრაზილიელის, რობერტო კარლოსისა და რონალდოს ესპანურ „მარკაში“ გუშინ გამოქვეყნებულ ნაზრევს გავეცნოთ.

რობერტო კარლოსს ოუენის წარმატების ეჭვება „მაიკლ ოუენი შესანიშნავი თავდამსხმელია, მაგრამ „რეალში“ ახლა ფერხანდო მორინტესი თამაშობს და ინგლისელს საკმაოდ გაუჭირდება ძირითადში ადგილის დამკვიდრება. ვფიქრობდი, ცენტრალურ ნახევარმცველს ან მცველს შევიძენდით, რადგან თავდასხმის ხა-

ზი ისედაც ძლიერი გვყავდა. ცხადია, მაიკლს ჩვენთან მხოლოდ გამარჯვებას ვუსურვებ, მაგრამ მიეცემა კი მას საერთოდ შანსი ამ გამარჯვების მოსაპოვებლად?“ — იკითხა ალბონელი ამხანაგის ბედით დაინტერესებულმა ბრაზილიელმა.

დოსტისგან განსხვავებით, ოუენის მომავალს რონალდო ოპტიმიზმით შესცქერის. კიჭამ კეთილი სიტყვები არ დაიშურა ინგლისელის მისამართით და არც პრეზიდენტ პერესის ქებით მოხსენიება დაეწივება: „მადრიდის „რეალში“ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ. მაიკლ ოუენიც მათ შორისაა. დარ-



რობერტო კარლოსი

წმუნებული ვარ, ფლორენტინო არც წინა ტრანსფერების დროს შემცდარა და არც ახლა ცდება. ლივერპულელის ჩვენთან მოსვლა სასარგებლოა როგორც „რეალისთვის“, ისე ფეხბურთელისთვის“ — თქვა რონალდომ.

## ლადო ხოშიაძე

ბურთის სიყვარულით გადის. ტიტულები მისთვის ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს...

— „ბარსელონას“ თავკაცობის თქმით, გუნდი მომავალ სეზონში ყველა ესპანური და ევროპული ჯილდოების მოსაგებად იბრძოლებს...

— ფეხბურთში დაძაბულობა და აზარტი მიზიდავს. სხვანაირად მოგება ვერც წარმოიძგენია. ძალიან კარგია, გულშემატიკივარი ჩვენგან სულ გამარჯვებებს რომ ელის.

— ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად რომელ გუნდებს თვლით?

— „ბარსელონას“ გარდა სამ გუნდს გეტყვით — „არსენალს“, „ჩელსისსა“ და „სელტიკს“.

— შოტლანდიაში საუკეთესო მეგოლე იყავით, ესპანეთშიც ბევრს გაიტანთ?

— არასოდეს დამიგვმავს, რამდენ ბურთს გავიტან. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ყველა საგოლე შანსს მაქსიმალურად გამოვიყენებ.

— თქვენს ყველაზე საუკეთესო გოლს თუ გაიხსენებდით?

— ასეთი „კამპ ნოუზე“ უნდა გავიტანო.

— მადრიდის „რეალთან“?

— „ელ კლასიკოზე“ ბევრი რამ ვიცი, თუმცა ჯერჯერობით „ბარსა“ — „რეალის“ შესახებ არ მიფიქრია. ჩემთან ამაზე არც სხვა თანაგუნდელებს უსაუბრობთ.

— თქვენი კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტად რომელი თავდამსხმელის ბურთაობა მოგეწონათ?

— რომარიო დიდებული ვარსკვლავი იყო, ისევე როგორც ვან ბასტენი. ახლანდელებიდან ზლატან იბრაჰიმოვიჩს გამოვარჩევ. კრის სატონიც მომწონს.

# რაიკარდის პროტესტი

## ლარსონი ნიჭს და პასს ხედავს

შოტლანდიური „სელტიკის“ ყოფილი მეგოლე ჰენრიკ ლარსონი ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ კარგად შეეწყო და დიდი გამარჯვებების მოპოვებას ახლა კატალონიურ „კამპ ნოუზე“ შეეცდება. ლარსონმა „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ ინტერვიუში საუკეთესო პარტნიორებად რონალდინიო, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და ხავი დაასახელა. შეეძი განსაკუთრებით ბრაზილიელ გაუჩროს აღუფრთოვანებია. „რონალდინიო მსოფლიოში საუკეთესოა“ — უყოყმანოდ აცხადებს დიდ ფეხბურთში მრავლის მნახველი სკანდინავიელი



— თქვენი ყველაზე დიდი მხარდამჭერი ფრანკ რაიკარდია. სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით მოხვდით „ბარსელონაში“. მწვრთნელის ყურადღება დამატებით პასუხისმგებლობას გავრძნობინებთ?

— რა თქმა უნდა, შესანიშნავია, როცა მწვრთნელს შენი იმედი აქვს. რაიკარდს ამ ნდობისთვის მადლობას კარგი თამაშით გადავუხდი, იმ საქმით, რომელიც ყველაზე უკეთ ვიცი. „ბარსას“ წლეულს დიდი მიზნები აქვს და ჩვენც, ფეხბურთელები, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა „კამპ ნოუში“ ახალი გამარჯვებები იზეიმოს.

— რამდენიმე ამხანაგურ მატჩში უკვე ითამაშეთ. თანაგუნდელთაგან ყველაზე უკეთ ვის შეუამხანაგდით?

— რონალდინიოს. ასევე კარგად შევეწყვე ხავისა და ვან ბრონკჰორსტს — მათი სათამაშო სტილი უკვე კარგად ვიცი და პასებსაც დროულად მაწვდიან. იმას კი ვერ ვიტყვი, რომ რონალდინიოს მოქმედებები წინასწარ შესწავლილი მაქვს — არასოდეს იცი, როდის სად აღმოჩნდება. რონი უნიჭიერესი ფეხბურთელია და ამავდროულად ხალისიანი ადამიანიც.

— ფიქრობთ, რომ რონალდინიო „ოქროს ბურთის“ მომავალი მფლობელი გახდება?

— მისი ნიჭის პატრონი, თავისუფლად შეიძლება მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დავასახელოთ. ისე კი, რონი მოედანზე ოდენ სახალისოდ, ფეხ-

# ფორლანი ფერხანდო ბაშეზარუ

„ვილიარეალის“ პრესმდივანმა მარიამ სოლორონამ გუშინ განაცხადა, რომ კლუბმა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ არგენტინელი ფორვარდი დიეგო ფორლანი შეიძინა. „ფორლანმა ჩვენთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ურუგვაელს დღეს მედიას და გულშემატიკივრებს წარვუდგენთ“ — თქვა ქალბატონმა მარიამმა.

დიეგო ფორლანი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 2002 წლის იანვარში „ინდეპენდენტედან“ 7 მილიონ 500 ათას გირვანქის სანაცვლოდ გადაიბირა, მაგრამ ფეხბურთელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ურუგვაელმა თავდამსხმელმა 73 მატჩში ათი გოლი გაიტანა. ამჟამად ალექს ფერგიუსონს მხოლოდ ერთი ჯანმრთელი ფორვარდი ჰყავს — ალან სმიტი. რუედ ვან ნისტელროი და ლუი საა ტრავირიბუნი არიან, მაგრამ ექიმები მწვრთნელს აიძულებენ, რომ ორივე მალე მომუშაობინდებო.

დიეგო ფორლანი ვალენსიაში გუშინ სადამოს უნდა ჩასულიყო, სადაც ვილიარეალელი მასპინძლები დახვდებოდნენ.

## მამა ხუციშვილი



ფინეთი	
შვიპაუსლიგა. XX ტური	
ინტარი 0:1 ტურკუ	
ჰაზი 0:1 იბრო	
ჰაპა	18 12 4 2 37:10 40
ტურკუ	19 11 3 5 28:20 36
ინტარი	19 10 2 7 34:27 32
ტამპერე	17 9 3 5 28:16 30
ჰიე	18 7 8 3 28:19 29
მიუბა	19 8 5 6 24:21 29
ალიანსი	17 8 4 5 20:19 28
ლაპტი	19 6 9 4 25:23 27
კტა	18 7 5 6 24:21 26
ტა 47	20 7 4 9 30:30 25
როვანიემი	21 5 4 12 20:38 19
იბრო	20 5 2 13 21:37 17
ჰაზი	20 4 5 11 26:44 17
ჰამენლინა	19 1 6 12 20:40 9



# მე უტყარი არ მარ! ჯარ ხიდუხ უნდა ნავაგო

იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელი, მარჩელო ლიპი ამბობს, რომ სადებიუტო მატჩში, ისლანდიასთან 0:2 წაგებაზე ბევრ ნერვიულობას არ აპირებს.


„ამაზე ტირილი დროის კარგა იქნება — განაცხადა ტაქტიკოსმა — ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და დაველოდოთ, როდის შევალთ კარგ ფორმაში. დამარცხება, ცხადია, გულსატკეპია, მით უფრო, რომ ეს ჩემი პირველი მატჩი გახლდათ ახალ თანამდებობაზე, მაგრამ ის, ვინც იგებს და იგებს, დიდ გუნდად ვერ ყალიბდება. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩუმად უნდა ვიყოთ და ყურადღება ოფიციალურ შეხვედრაში სამი ქულის მოგებაზე გავამახვილოთ“.

ასეთი თამაშები კი იტალიელებს შორს არ აქვთ. 4 სექტემბერს „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ნორვეგიელებთან შეხვედრით იწყებს.

„მე იმ ფეხბურთელებს გამოვიძახებ, რომლებიც ყველაზე მეტ გარანტიებს შემომთავაზებენ. თუ საჭირო იქნება, „მილანიდან“ 38 წლის ალესანდრო კოსტაკურტასაც კი წავიყვან“ — ამბობს პრემიერლიგის მენეჯერი.

მეორე მხრივ, საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ისლანდიასთან შეხვედრაში ლიპის ბევრი წამყვანი ფეხბურთელი არ ჰყავდა, რომელთა დაბრუნებაც მას ერთიორად გააძლიერებს. კერძოდ, საუბარია ისეთ ვარსკვლავებზე, როგორებიც გახლავან კრისტინ ვიერი, ფრანჩესკო ტოტი, ანტონიო კასანო, ალესანდრო დელ პიერი, ფაბიო კანავარო, ანდრეა პირლო და სხვანი.

„ტოტის იმ შეხვედრაში გამოვიძახებ თუ კარგ ფორმაში იქნება, ოღონდ თუ მართლა იქნება ფორმაში, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ 8 სექტემბრამდე ანუ მოლდოვასთან თამაშამდე დისკვალიფიცირებულია, მაინც წავიყვან — გაშალა თემა მწვრთნელმა — რაც შეეხება დელ პიეროს,



მარჩელო ლიპი

მასაც დავაკვირდები. ერთი სიტყვით, უახლოეს 10 დღეში ყველასგან ფორმის გაუმჯობესებას ველი“.

და, ცხადია, ისლანდიასთან წვალებისა და ჯაჯგურის მიუხედავად, ტაქტიკოსს მომავლის იმედი აქვს:

„ორ დღეში ახალი გუნდის აწყობის ილუზია არც მქონია, შტერი კი არა ვარ, დრო მჭირდება და მზადების პროცესში შეიძლება მომავალშიც წავაგოთ, მაგრამ აუცილებლად იქნება შემთხვევები, როდესაც უხარვეზონი ვიქნებით“ — დასძინა მანქანით.

ბაკუნა კედი

# ჩვენ, ყველაფერი ჩვენ!

არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო დარწმუნებულია, რომ დღეს „მილანს“ „ლაციოს“ დამარცხება და იტალიის სუპერთასის აღმართვა არ უნდა გაუჭირდეს.

„კარგ კონდიციაში ვართ. მართალია, ჩვენი შესაძლო ფორმის მწვერვალზე არ ვართ, მაგრამ წელიწადის ამ დროისთვის ეს ნორმალურია. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში, სეზონი რომ დაიწყება, დიდ „მილანს“ ვიზილავთ“. იტალიის სუპერთასი, ცხადია,

„შავ-წითელთა“ მთავარი მიზანი არ არის, მაგრამ მიზანია და ეს იმას ნიშნავს, რომ კრესპოს მისი მოპოვება სურს.

„სულაც არ გვინდა რომელიმე ჯილდო რომელიმე სხვა გუნდს დაუტოვოთ, ჩვენ ყველაფრის მოგება გვწავდა“ — დასძინა თავდამსხმელმა, რომელიც მილანში ამ ზაფხულს ჩავიდა. იგი „ჩელსის“ ფეხბურთელია, რომელიც ლონდონელებმა იტალიელებს მიაქირავეს ერთი წლით.

„ბედნიერი ვარ, ისევე იტალიას რომ დაეუბრუნდი, განსაკუთრებით კი ის მახარებს, ასეთ ძლიერ გუნდში რომ ვარ“ — განაგრძო „პარმას“, „ლაციოსა“ და „ინტერის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, რომ მას — მიუხედავად იმისა, რომ მაღალი კლასის თავდამსხმელია — ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიას ვერავენ მისცემს ვერც ამ შეხვედრაში და ვერც მომავალში, მთელი სეზონის განმავლობაში.

„ძალიან მინდა სუპერთასზე ძირითადში მოხვდეთ, მაგრამ ვალდებული ვარ, მწვრთნელის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვცეპატივი. ჯერ ასე პროცენტით მზად არ ვარ, მაგრამ თუ საჭირო იქნება, მოვემზადები. სურვილი და უნებურად ძალიან დიდი მაქვს“ — დაავიწყებინა კრესპომ.

მოგეხსენებათ, „მილანის“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის თავდასხმაში საქმე ასარჩევად აქვს. კერძოდ, ანდრეი შევჩენკოს მხარდამხარ შესაძლოა იონდალ ტომასონი ათამაშოს, შესაძლოა კრესპო.

ბაკუნა კედი



კარლო ანჩელოტი და ერნან კრესპო

## ინგლისურ „ლივერპულში“ ახლახან გადაბარებულ ანტონიო ნუნესს არ გაუმართლა. გულშემოტკივართა წინაშე გამოჩენის შემდეგ მან მსუბუქად ივარჯიშა და საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. მერსისაიდელთა ექიმების თქმით, ნახევარმცველი მუსტაფა ნაზარის ერთ თვეში მოიბრუნებს. ამრიგად, „ლივერპულში“ ნუნესის დებიუტი სექტემბრის შუა რიცხვებამდე გადაიდო.

„ლივერპულში“ ნუნესის დებიუტი სექტემბრის შუა რიცხვებამდე გადაიდო.

**მოტილანდური** „პართისი“ რთულ მდგომარეობაშია. კლუბს 25 მილიონი ევრო ვალი აქვს და მის გასასტუმრებლად თავის ისტორიულ სტადიონს, რომელზედაც ედინბურგელები 1886 წლიდან ბურთაობენ, 32,5 მილიონ ევროდ 3 ყიდის. შეთანხმების თანახმად, კლუბს 2005 წლის 31 იანვრამდე სტადიონის დაბრუნების შანსი ექნება თუ საჭირო თანხებს მოიძიებს. ამერიიდან „პართისი“ არენდით აღებულ „მიურეიფილდზე“ ითამაშებს.


**იტალიურ** „რომას“ ხულიო რიკარდო კრუზის თხოვნა უნდა. ფეხბურთელს დედაქალაქში გადასვლას ურჩევს მისი აგენტის. ამისთვის საჭიროა, კრუზმა ცოცხალი ნაკლები ხელფასი მოითხოვოს. სავარაუდოდ, არგენტინელი ამ დამთხოვნი წააგა, რადგან მას „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ფაქტობრივად აღარ დარჩა. კრუზი „შავ-ლურჯებში“ მხოლოდ მცხუთე ფორვარდად ითვლება.

**ჰოლანდურმა** პსემ კარლოს ტევესის შეძენა მოიწადინა და „ბოკა ხუნიორსს“ 10 მილიონ ევროს სთავაზობს. არგენტინელი თავდამსხმელის შეძენა კიდევ რამდენიმე გრანდს სურდა, მაგრამ სპეციალისტების ვარაუდით, რასაც „ბოკას“ პოზიციაც ადასტურებს, ტევესი კლუბს 2005 წლამდე მაინც არ გამოიცვლის. „გულშემოტკივრებს“ სიმშვიდისკენ მოვუწოდებ. ამჟამად ჩვენი ფინანსური მდგომარეობა მყარია და არც ერთი ფეხბურთელის გაყიდვას არ ვაპირებთ. მთავარია, თავად რიკარდომე მოთამაშებ არ ისურვოს წასვლა“ — თქვა „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა მანუელ კილი.

**მისპანურმა** „ატლეტიკომ“ „კალენსიასგან“ ერთი წლით ინაიხოვრა სალვა ბალესტა. ეს უკანასკნელი გალისიელთა ახალი თავკაცის, კლაუდიო რანიერის უახლოეს გეგმებში არ შედის. კლუბმაც სანტანდერის „რასინგის“ ყოფილი ფორვარდი სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად მადრიდში გაამგზავრა, სადაც იგი ფერნანდო ტორესს შეუწყვილდება.

**ზრანბი** ნახევარმცველი ოლივე დეაკური „რომასადმი“ ერთგულებას გამოხატავს. მან დაადასტურა, რომ რამდენიმე საკმაოდ კარგი წინადადება მიიღო, განსაკუთრებით „ლივერპულსგან“ და „ტოტენჰემისგან“. თუმცა, დაკურნა იტალიაში დარჩენა ყველაფერს არჩია. „რომში ბედნიერი ვარ და არაფრის შეცვლა არ მინდა. მართალია, რამდენიმე ძალიან მომზიბვლელი წინადადება მივიღე, მაგრამ „რომას“ დატოვება არც მიფიქრია“ — თქვა „ლიდისის“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

## ეს სანყალი კურდღელი მყრალი ჩემიები ფაელად



ბელგიური „სერკლის“ ფეხბურთელები შვებულებიდან რომ დაბრუნდნენ და მოედანზე სათამაშოდ შევიდნენ, ლამის ყველამ ერთბაშად ფეხები დაიმტვრია — მთელ მინდორზე ორობები იყო. სანამ სერკლელები არადადგებზე ნებიერიბდნენ, მოედანი... კურდღლებმა აითვისეს, ბალანს შეექცილდნენ და სახლიც იქვე მოიწყვეს.

კლუბის თავმჯდომარე ედი სირპემ ყურცქვიტების მოშორების ორიგინალურ ხერხს მიაგნო. მან გულშემოტკივრებს სთხოვა, ძველი, აყროლებული ჩექმები მიეტანათ. „ოლო-ოლო-ოლო“ში მორბენალი და წამდაუწუმ ტრავმირებული ფეხბურთელების ტანჯვის ყურებამ და მტანჯა. ამას წინათ ერთ ჩემს მეგობართან ვიყავი, რომელიც ბოსტნეულის მოყვანითა დაკავებული კურდღლებმა მთელი მოსავალი დაუღრღნეს და სწორედ მან მასწავლა „დივერსანტების“ ძველი ჩექმებით განდევნის ხერხი. აქამდე არც კი ვიცოდი, რომ კურდღლები თურმე ძველი ფეხსაცმელების სუნს ვერ იტანენ“.

გაშა ხუციფილი

# სარკიელი & კროკო


ეროვნული  
სიბავშვობა

## ნარკობიდეგანთ

### სსპა სახის ფსონაზს გააცნობით აღგილვა

ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური							ინგლისი. ჩემპიონატი. IV ტური							ინგლისი. I ლიგა. IV ტური							ინგლისი. II ლიგა. IV ტური						
1	X	2	1-X	1-2	X-2		1	X	2	1-X	1-2	X-2		1	X	2	1-X	1-2	X-2		1	X	2	1-X	1-2	X-2	
